ქ.თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„რამაზაშვილების საგვარეულო კავშირი“

წესდება

2012

1. ზოგადი დებულებები

1.1 „რამაზაშვილების საგვარეულო კავშირი“ არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფლობით გაერთიანების საფუძველზე.

1.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა: „რამაზაშვილების საგვარეულო კავშირი (შემდგომში „კავშირი“)

1.3 კავშირი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.4 კავშირი უფლებამოსილია ქონდეს ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, საკუთარი ემბლემა და სხვა რეკვიზიტები.

1.5 კავშირს უფლება აქვს დადოს ხელშეკრულებები, გარიგებები, შეიძინოს პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობანი, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

1.6 კავშირს უფლება აქვს მოქმედი კანონმდებლობით სააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები და განყოფილებები, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ, რომლებიც იმოქმედებენ კავშირის მიერ დამტკიცებული დებულებით და კავშირის მიერ გაცემული მინდობილობით.

1.7 კავშირის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ქუჩა ჩოლოყაშვილი, კორპუსი 1, (ჩოლოყაშვილის ქ. 1/1), ბინა 72

1.8 კავშირის ელექტრონული მისამართია: ramazashviliunion@gmail.com

1.9 კავშირი შეიძლება იყოს შესაბამისი საერთაშორისო სტრუქტურების ნამდვილი ან ასოცირებული წევრი.

1.10 კავშირს შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციეოლოს სამეურნეო საქმიანობა, შექმნას საწარმოები, ფილიალები ან წარმომადგენლობები საქართველოში და საზღვარგარეთ.

1.11 კავშირს შეუძია კანონით დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან ორგანიზაციების დაფუძნებაში, თუ მათი საქმიანობა შეესაბამება კავშირის საწესდებო მოთხოვნებს.

2. კავშირის მიზნები

2.1 კავშირის მიზანია;

- ხელი შეუწყოს მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცებას და ტრადიციების შენარჩუნებას;

- ორგანიზება გაუწიოს რამაზაშვილების გვარის წარმომადგენელთა შეკრებას, დაახლოებას, მათ საზოგადოებრივი წარმოჩინებას;

- იზრუნოს რამაზაშვილების და მათი ნათესავების შესაძლებლობათა პრაქტიკული რეალიზაციისათვის ქართული ტრადიციების შესაბამისი ცხოვრების დასამკვიდრებლად, ამ კეთილშობილური ამოცანის გადაწყვეტის მსურველთათვის სათანადო დახმარების გასაწევად:
- იზრუნოს საგვარეულოს სიწმინდის ამაღლებასა და დაცვაზე, თითოეული წევრის სულიერი და შემოქმედებითი შესაძლებლობების განმტკიცებისათვის;
- მოახდინოს საგვარეულო ხატის, დროშის, ჰიმნის და სხვა ატრიბუტიკის შექმნა;
- იზრუნოს საგვარეულო სალოცავების მოვლა-პატრონობაზე და შეძლებისამებრ მონაწილეობა მიიღოს მათ აღდგენა-რესტავრაციაში.

3. კავშირის საქმიანობა

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად კავშირი განახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

3.1 ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას;

3.2 ზრუნავს გვარში გაჭირვებულ, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და ავადმყოფებზე;

3.3 ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და სხვა საქმიანი ურთიერთობის მიზნით, ამყარებს კავშირებს მსგავსი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებთან საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ;

3.4 ახორციელებსც ნებისმიერ სხვა საქმიანობას. რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს მექმედი კანონმდებლობით.

4. კავშირის დამფუძნებლები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კავშირის - „რამაზაშვილების საგვარეულო კავშირი“ დამფუძნებლები არიან:

1. ზვიად რამაზაშვილ პ/ნ 01015000322 მცხ. ქ.თბილისი, ი. და ნ. ნაკაშიძეების შეს. №3
2. გივი რამაზაშვილი პ/ნ 13001005670, მცხ. ქ.თბილისი, არბოს ქ №1 ბ.48
3. მიხეილ რამაზაშვილი პ/ნ 01017017040, მცხ. თბილისი, ინგოროყვას ქ №20

5. კავშირის წევრობა

5.1 კავშირის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც აღიარებს კავშირის წესდებასა და წერილობით მიმართავს გამგეობას;

5.2 კავშირის წევრად მიღება ხდება გემგეობის მიერ, მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

5.3 კავშირის წევრობისთვის არ არის დადგენილი კონკრეტული საწევრო გადასახადი; ზემოაღნიშნული ნებაყოფლობითია.

5.4 ყველა წევრი უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია კავშირის საქმიანობის შესახებ, არჩეულ იქნას და აირჩიოს წარმომადგენლები კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში.

6. კავშირის გამგეობა

6.1 კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა კავშირის გამგეობა, რომელიც წარმართავს კავშირის საქმიანობას;

6.2 კავშირის გამგეობას ირჩევენ კავშირის წევრები 13 (ცამეტი) კაცის შემადგენლობით 3(სამი) წლის ვადით.გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი გამგეობის არჩევამდე;

6.3 გამგეობა კრებას იწვევს წელიწადში ორჯერ, როცა ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს, გამგეობის კრება შეიძლება მოწვეულ იქნას გამგეობის თავმჯდომარის, მისი მოადგილის ან გამგეობის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით;

6.4 კავშირის წევრთა საერთო კრების შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ანდა სხვა ტექნიკური საშუალებით კრებამდე 10 დღით ადრე;

6.5 გამგეობის კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა 1/2- ზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 2 დამფუძნებლისა;

6.6 გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით;

6.7 გამგეობა უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს კავშირის წესდებაში, გადაწყვიტოს კავშირის რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის საკითხი;

6.8 წესდების სისტემატური დარღვევის ანდა იმ შემთხვევაში თუ წევრის საქმიანობა ეწინააღმდეგება კავშირის ინტერესებს, გამგეობას შეუძლია გარიცხოს წევრი კავშირიდან;

6.9 გამგეობა კავშრის მიზნების განხორციელების მიზნით ქმნის საინიციატივო ჯგუფებს, რომლებსაც ევალებათ გამგეობის მითითებებისა და დავალებების ჯეროვნად შესრულება;

6.10 საინიციატივო ჯგუფის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ კავშირის წევრები;

6.11 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდნენ, თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, კავშირის წინაშე პასუხს აგებენ წარმოშობილი ზიანისთვის;

6.12 კავშირის გამგეობის პირველ შემადგენლობას ირჩევს დამფუძნებლები, ცვლილების შემთხვევაში ახალ შემადგენლობას ირჩევს წევრთა კრება;

გამგეობის წევრები არიან:

1. ზვიად რამაზაშვილი, პ/ნ 01015000322 მცხ. ქ.თბილისი, ი. და ნ. ნაკაშიძეების შეს. №3

   გამგეობის თავმჯდომარე

2. გივი რამაზაშვილი, პ/ნ 13001005670, მცხ. თბილისი, არბოს ქ #1 ბ.48

   გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

3. მიხეილ რამაზაშვილი, პ/ნ 01017017040, მცხ. თბილისი, ინგოროყვას ქ №20
4. კონსტანტინე რამაზაშვილი, პ/ნ 13001043460, მცხ. თბილისი, ვაზისუბნის 2მ/რ,კორპ 9 ბ.311
5. ნოდარ რამაზაშვილი, პ/ნ 01010011705, მცხ. თბილისი, აწყურის ქ №4ა ბ.27
6. ლევან რამაზაშვილი, პ/ნ 01002026673, მცხ. თბილისი, გლდანი მე-6 მ/რ-ნი 27-ე კორპ. ბ.15
7. ლევან რამაზაშვილი პ/ნ 13001012244 მცხ. ქ.თბილისი,ირბახის ქ №18
8. ირაკლი რამაზაშვილი პ/ნ 59001008283 მცხ. გორი, სოფ. ხიდისთავი
9. ნათია რამაზაშვილი პ/ნ 59001034135 მცხ. გორი, სტალინის გამზირი№8, ბინა 1
10. ლევან რამაზაშვილი პ/ნ 59001013547 მცხ. გორი, სოფელი ხიდისათავი
11. ნიკოლოზ რამაზაშვილი პ/ნ 01010011713 მცხ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №36
12. გიორგი რამაზაშვილი პ/ნ 01025014254 მცხ. ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. კორპ. 5ა, ბინა 47
13. ნიკოლოზ რამაზაშვილი, პ/ნ 22001009051 მცხ. თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ. ჩხიკვთა

7. გამგეობის თავმჯდომარე

7.1 გამგეობის თავმჯდომარეს და თავმდჯომარის მოადგილეს ირჩევს გამგეობა თავისი შემადგენლობიდან 3(სამი) წლის ვადით;

7.2 გამგეობის თავმჯდომარე წარმართავს ყოველდღიურ საქმიანობას წესდების მიზნებიდან გამომდინარე;

7.3 წარმოადგენს იურიდიულ პირს და იურიდიული პირის სახელით დებს ხელშეკრულებებს;

7.4 ქონების და ბიუჯეტის განკარგვის საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს გამგეობის თანხმობით;

7.5 წარმოადგენს კავშირს საბანკო დაწესებულებებში და მისი არყოფნის ანდა საჭიროების შემთხვევაში გასცემს მინდობილობას გამგეობის რომელიმე წევრზე;

7.6 კავშირს წარუდგენს დასამტკიცებლად კავშირის წესდებით გათვალისწინებულ საკითხებს;

7.7 უზრუნველყოფს კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ქმნის საინიციატივო და დამხმარე ჯგუფებს;

7.8 გამგეობის თავმჯდომარე ითვალისწინებს გამგეობის წევრთა წინადადებებს და წესდებაში გათვალისწინებულ საკითხებზე წარმოშობილი პრობლემებს;

7.9 გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არ საჭიროებს აღნიშნულზე სპეციალურ ნებართვას;

8. კავშირის დაფინანსების წყარო

8.1 ინდივიდუალურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობანი;

8.2 კანონით დადგენილი წესით მიღებული შემოსავლები სხვადასხვა საქმიანობიდან.

9. კავშირის ქონება

9.1 კავშირის ქონება იქმნება საწევრო ანარიცხების, შემოწირულობის, გარანტიებისა და სხვა კანონიერი საშუალებების ხარჯზე;

9.2 კავშირის ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისთვის.

10. კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

10.1 კავშირის საქმიანობის შეწყვეტა ხდება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით;

10.2 კავშირის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3 ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოისახოს ფულად ერთეულებში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გადაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს კანონით დადგენილი წესით;

10.4 ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები შეიძლება განისაზღვროს წესდებით;

10.5 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონება შეიძლება გაუნაწილდეს გამოქვეყნებიდან 1 წლის შემდეგ;

10.6 ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია სხვა ლიკვიდატორის დანიშვნა. ლიკვიდატორები პასუხს აგებენ როგორც გამგეობის წევრები.